

**საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი
საერთაშორისო დამოუკიდებელი მისიის მოხსენების
საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები**

საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის ტრაგიკული მოვლენებიდან დაახლოებით ორი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში უამრავი ცვლილება განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო ომის გამომწვევი რეალური მიზეზების გამოვლენას. იმთავითვე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა ომის საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები. სამწუხაროდ, პირველ ხანებში საქართველომ ვერ შეძლო, წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის ფართომასშტაბიანი საინფორმაციო ომისთვის. მოსკოვი მილიონობით დოლარს ხარჯავდა და ხარჯავს, რათა მიჩქმალოს საქართველოში რუსეთის ინტერვენციისა და ოკუპაციის ფაქტები და ომის დაწყება საქართველოს გადააბრალოს.

სამწუხაროდ, დასავლეთის პრესა, პოლიტიკოსები და ზოგი საერთაშორისო ექსპერტიც კი წამოეგნენ ამ ანკესზე. მეტიც, ზოგიერთ დასავლელ პოლიტიკოსს აწუხებდა კიდევ რუსეთის მიერ შეთავაზებული ვერსია, რადგან მომხდარში ლომის წილი სწორედ დასავლეთ ევროპის წამყვან ქვეყნებს მიუძღვით – ნატოში საქართველოს უფრო ქმედითი ინტეგრაციის პროცესის შენელებამ ხელი შეუწყო რუსეთის ჩვენს ქვეყანაში ინტერვენციას.

ევროპის კავშირის მინისტრთა საბჭომ 2008 წლის 2 დეკემბერს დაავალა საქართველოში კარგად ცნობილ შვეიცარიელ დიპლომატს, ჰეიდი ტალიაინის, შეექმნა „საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო დამოუკიდებელი მისია“ (შემდგომში – მისია). მისიას დაევალა „საქართველოში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების გამოძიება, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის, ჰუმანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებების კუთხით“.

მოხსენებას, რომელიც ტალიაინიმ 2009 წლის 30 სექტემბერს წარუდგინა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს (შემდგომში – მოხსენება), დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგი მის ობიექტურობას აქებდა, ზოგი მისიას ფაქტებისა და მათი შეფასების შეუთავსებლობას აბრალებდა, ხოლო ცნობილმა რუსმა ექსპერტმა, ვ. პუტინის ყოფილმა მრჩეველმა, აკადემიკოსმა ა. ილარიონოვმა მოხსენების ძირითადი ნაწილი დაახასიათა როგორც „სკანდალური“, რადგან: „მოხსენება მხარს უჭერს აგრესორს, ამართლებს მომხდარ ინტერვენციას და არის ცრუსამართლებრივი დასაბუთება როგორც მიმდინარე, ასევე მომავალში შესაძლო აგრესიებისა, რაც, სამწუხაროდ, გამორიცხული არ არის“.¹

მოხსენების შეფასების ჩვენეული პოზიცია არ გამოირჩევა ამგვარი რადიკალურობით, რადგან მოხსენების მეორე ტომი, ზოგადად, ასახავს რეალურ მოვლენებს. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ თავიდანვე ეჭვის თვალით ვუყურებდით მისიის სრულ დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას, რადგანაც მის შემადგენლობაში 19 წევრიდან 7 იყო გერმანელი, რომელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში, ანუ სანამ მისიის წევრები გახდებოდნენ, ადანაშაულებდნენ საქართველოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით მოძიებული ფაქტების რაოდენობა და მათი შემზარავი ხასიათი იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, მისია იძულებული გახდა, სააშკარაოზე გამოეტანა ისინი, თუმცა მათი ზოგიერთი შეფასება აბსოლუტურად მიუღებელია.

¹ . . . : , *Live Journal*, (9 სექტემბერი, 2009), <<http://aillarionov.livejournal.com/118326.html>>, 2010, 19 მარტი, 2010წ. მდგომარეობით.

მოსხენებამ საქართველოშიც გამოიწვია აზრთა შეხლა-შემოსლა. სამწუხაროდ, ასეთ ვითარებას კარგად იყენებენ ე.წ. ექსპერტები და ქართველი ხალხის დეზორიენტაციას ეწევიან, როგორც ტელევიზიით, ასევე ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით. ისინი არა მარტო უხეშად ამახინჯებენ ფაქტებს, არამედ არც კი ცდილობენ, შეეწინააღმდეგონ ტალიაინის მოსხენებაში არსებულ უზუსტობებსა და შეცდომებს, სწორედ რომ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. მეტიც, ეს პიროვნებები ცდილობენ, თავიანთი წვლილი შეიტანონ აგრესიაში საქართველოს დადანაშაულებაში, რისთვისაც იყენებენ მისიის მოსხენებას.

დავიწყოთ ზოგიერთი „კომენტატორის“ მტკიცებით, თითქოს: „მისიას და მის მოსხენებას საერთაშორისო სამართლებრივი დატვირთვა ჰქონდა და აქვს (?), რადგან მისია შედგებოდა ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოების მიერ ოფიციალურად წარდგენილი პირებისაგან (?), მოკლედ ეს იყო ევროკავშირის სამთავრობათაშორისო (?) ოფიციალური (?) ორგანოს მოსხენება. ამიტომ, მისიის მოსხენებას იურიდიული ძალა აქვს (?) (ხაზგასმა დამატებულია), მიუხედავად იმისა, მას რომელიმე მხარე დაეთანხმება თუ – არა“.²

როგორც ხედავთ, თითქმის ყოველ ფრაზაში კითხვის ნიშანი დაისვა, რადგანაც დასახელებული პოზიცია ფაქტებისა და არსის უპრეცედენტო უცოდინრობისა და დამახინჯების, სიცრუის ნუსხაა. აღნიშნული მიზეზების შემდგომი დაზუსტების მიზნით, გთავაზობთ შემოხსენებულ, ჩვენი აზრით, არასწორი მოსაზრებების ანალიზს:

ა) ნებისმიერმა ექსპერტმა იცის, რომ ასეთი სახის მოსხენებებს არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს. მისიას მხოლოდ ფაქტების მოძიება, მათი კლასიფიკაცია და დამფუძნებელი ორგანოსათვის წარდგენა ევალება. იგივე ა. ილარიონოვი იშველიებს ტალიაინის მოსხენებას და წერს: „ევროკავშირის კომისია გამომძიებელთა, და არა მოსამართლეთა, კომისიაა. მოსხენების შესავალში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ კომისია არ არის ტრიბუნალი და არც კომისიის ნებისმიერი დასკვნაა ვერდიქტი, მაგრამ შეიძლება საფუძვლად დაედოს ასეთ ვერდიქტს“.³ უფრო მეტიც, ევროკავშირი გაეცნო წარდგენილ მოსხენებას, „მიესალმა მას“ და „ცნობად მიიღო მისი შინაარსი“.⁴

ბ) თურმე მოსხენებას „იურიდიული ძალა აქვს“, რადგანაც ეს იყო „ევროკავშირის მთავრობათაშორისი ოფიციალური ორგანოს მოსხენება“.⁵

მაგრამ თვით ჰ. ტალიაინი სულ სხვა რამეს ამტკიცებს – მას მიეცა სრული დამოუკიდებლობა არა მარტო მისიის პროცედურებისა და მეთოდების შესამუშავებლად, არამედ მისი შემადგენლობის შერჩევითვისაც.⁶ „ექსპერტმა“ უნდა იცოდეს, რომ მისია ვერ იქნებოდა „სამთავრობათაშორისო“ ოფიციალური ორგანო, რადგანაც ტერმინი „სამთავრობათაშორისო“ სულ სხვა მნიშვნელობისაა. ასეთი ორგანო მთავრობების ან მათ მიერ შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დანიშნული პირებისგან უნდა შედგებოდეს და არა კერძო პირებისგან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასში ყოფილი მინისტრები და ელჩები მონაწილეობენ. უფრო მეტიც, მოსხენებაში აღნიშნულია მისი საგამომიებო ფუნქცია და იქვე ხაზგასმულია ის გარემოება, რომ, „მიუხედავად მთელი ჩატარებული სამუშაოს, მოსხენებას არ შეიძლება

² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 დეკემბერი, 2009 წ.

³ . , იხ. სქოლიო 1.

⁴ EU Council, Presentation of the Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Brussels, 2009, 13875/09.

⁵ იხ. ზემოთ, სქოლიო 2.

⁶ Report of Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, (შემდგომში – მოსხენება), ტომი I, გვ. 6, §3. იხ. აგრეთვე: 1-ლი მუხლის §3, და მე-3 მუხლი, EU Council Decision 2008/901/CFSP of 2 December, 2008 concerning an independent international fact-finding mission on the conflict in Georgia in: Official Journal of the European Union, 3.12.2008, EN., 323/66.

ჰქონდეს მოძიებული ფაქტების ჭეშმარიტების ან აბსოლუტურად ამომწურავობის პრეტენზია“.⁷ (ხაზგასმა დამატებულია).

გ) კრიტიკოსები, რომლებიც თითქოს ობიექტურად ახდენენ ციტირებას „საქართველოს დანაშაულებრივი ქმედებების“ დასამტკიცებლად, ცდილობენ, მოხსენებას ამოეფარონ: „ქართული შეიარაღებული ძალების მიერ 2008 წლის 7-8 აგვისტოს, ღამით, ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების მასშტაბიანი და მასირებული დაბომბვით დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი საქართველოში“.⁸ მაგრამ ისინი მკითხველს უმაღავენ ფრაზას: „თუმცა ეს იყო მხოლოდ კულმინაციური წერტილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტებისა“.⁹ (ხაზგასმა დამატებულია).

სწორედ ესაა საქმე: „მოხსენება გვიჩვენებს, რომ კონფლიქტის წარმოშობის ნებისმიერმა ახსნამ არ შეიძლება ფოკუსირება მოახდინოს მხოლოდ ცხინვალზე 7/8 აგვისტოს ღამით განხორციელებულ საარტილერიო თავდასხმაზე, რაც შემდგომ გადაიზარდა საქართველოს სადავო (ხაზგასმა დამატებულია) შეტევაში სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის სამხედრო მოქმედებაზე. შეფასება აგრეთვე უნდა მოიცავდეს ომისკენ სვლას, რომელიც ხდებოდა მანამდე, წლების განმავლობაში, და მზარდ დაძაბულობას, რომელიც აღინიშნებოდა სწორედ შეიარაღებული დაპირისპირების წინ“.¹⁰

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „რუსეთმა თავისი სამხედრო მოქმედებები საქართველოში დაახასიათა როგორც „მშვიდობის იძულებით აღდგენის ოპერაცია“, ხოლო საქართველომ ამას „აგრესია“ უწოდა. საერთაშორისო საზოგადოებამ, მთავარი მოქმედი პირების ჩათვლით, ასევე ევროკავშირმა, თავი აარიდა ფორმალურ კვალიფიკაციას“.¹¹ საბოლოო ჯამში, მისიამ მოწინააღმდეგე მხარეთა ქმედებების დასახასიათებლად გამოიყენა ტერმინები: „პროპორციული“ და „არაპროპორციული პასუხი“. რუსეთის საქართველოში შემოჭრასაც კი, „თბილისის დაბომბვის ჩათვლით“, უწოდეს „არაპროპორციული პასუხი“. რაც შეეხება საქართველოს მხრიდან ცხინვალისათვის ცეცხლის გახსნას, ოსების მხრიდან გამუდმებული თავდასხმების გამო (ამის დამადასტურებელი მაგალითები უხვად არის მოყვანილი მოხსენებაში), საქართველოს საპასუხო რეაქცია აღნიშნულ ქმედებებზე ასევე კვალიფიცირებულია როგორც „არაპროპორციული“.

დ) ზოგიერთი ქართველი ე.წ. ექსპერტი ამტკიცებს, რომ: „ძალის გამოყენება ქართული მხარის მიერ, რაც გამოიხატა ცხინვალისა და მიმდებარე სოფლების მიმართ „გრადის“ ტიპისა და კასეტური ბომბების გამოყენებით, შეიძლება შეფასდეს როგორც აგრესია (ხაზგასმა დამატებულია), გაეროს (სად გაქრა სიტყვები: „გენერალური ასამბლეის“, ხაზგასმა დამატებულია) 3314-ე რეზოლუციის მე-3(ა) მუხლის თანახმად.“

ვნახოთ, რას გვაუწყებს ეს მუხლი:

„მუხლი 1: აგრესია არის სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან ნებისმიერი სხვა, გაეროს წესდებასთან შეუთავსებელი ქმედება, როგორც ამას განსაზღვრავს დეკლარაცია.

...

⁷ *Ibid.*, გვ. 9, §9.

⁸ *Ibid.*, გვ. 11, §3.

⁹ *Ibid.*

¹⁰ *Ibid.*, გვ. 31, §36.

¹¹ *Ibid.* გვ. 22, §18.

მუხლი 3(ა): [აგრესია არის] სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ნებისმიერი სამხედრო ოკუპაცია, როგორც დროებითაც არ უნდა იყოს ის, რაც ამ შეჭრის ან თავდასხმის შედეგია, ან ძალის გამოყენებით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნებისმიერი ნაწილის ანექსია¹² (არაოფიციალური თარგმანი).

კომისიის ზოგიერთი წევრი ცდილობდა, წარმოეჩინა საქართველო როგორც „აგრესორი“, რადგან ის ვითომდა თავს დაესხა ე.წ. „სხვა სახელმწიფოს“ – „სამხრეთ ოსეთს“. ამ კუთხით, საგულისხმოა პროფესორ ოტო ლაუტერჰანდტის მცდელობა, განესაზღვრა სტატუსი „სტაბილური *de facto* რეჟიმის მქონე ერთეულის[თვის], რომელიც არ არის აღიარებული საერთაშორისო დონეზე, როგორც სახელმწიფო, მაგრამ რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს სახელმწიფოებრიობის არა ყველა, მაგრამ ზოგიერთი მახასიათებელი“. საბედნიეროდ, ტალიავინის მოხსენება არ იზიარებს ამ პოზიციას. სხვათა შორის, ლაუტერჰანდტი, სანამ დაინიშნებოდა მისი ექსპერტად, აქტიურად ეწეოდა აღნიშნული პოზიციის პროპაგანდას რუსეთში, მისსავე არცთუ ისე მიუკერძოებელი სტატიის მეშვეობით.¹³

საბედნიეროდ, მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მოხსენება სამხრეთ ოსეთს მოიხსენიებს როგორც „სახელმწიფოებრიობას მოკლებულ ერთეულს“.¹⁴

ახლა ვნახოთ, რას წერს ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორი, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის პირველი პრეზიდენტი და მოგვიანებით დარფურის საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ანტონიო კასესე თავის სტატიაში - „მგელი, რომელმაც შეჭამა საქართველო“:

„რუსეთმა ჩამოაყალიბა რამდენიმე მიზეზი, რათა გაემართლებინა სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, სადაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონები კვლავაც საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფებიან. რუსეთი ცდილობს, დაასაბუთოს, რომ მისი ინტერვენცია მიზნად ისახავდა: 1) შეეჩერებინა საქართველოს აგრესია სამხრეთის ოსების წინააღმდეგ; 2) აღეკვეთა საქართველოს მიერ იქ ჩადენილი ეთნიკური წმენდის, გენოციდისა და ომის დანაშაულები; 3) დაეცვა რუსეთის მოქალაქეები; და 4) დაეცვა [სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ] ... ოსებს, ბორის ელცინსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის 1992 წელს დადებული სამშვიდობო შეთანხმების საფუძველზე.

ვერც ერთი აღნიშნული იურიდიული არგუმენტი ვერ უძლებს კრიტიკას (ხაზგასმა დამატებულია). საქართველო თავისი ჯარების გაგზავნით, უდავოდ, პოლიტიკურად წინდაუხედავად მოქმედებდა, მაგრამ მას არ დაურღვევია არც ერთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, როგორც ნომინალურად არ უნდა ყოფილიყო მისი სუვერენიტეტი. ამ შედეგებში არც გენოციდის, არც ეთნიკური წმენდის ნიშნები არ იკვეთება (ხაზგასმა დამატებულია); [სამხრეთ ოსეთში მცხოვრები] ... ოსების წინააღმდეგ ომის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, შეიარაღებული შეჭრა არ არის გამართლებული. უფრო მეტიც, [სამხრეთ ოსეთში მცხოვრები] ... ოსებს აქვთ რუსეთის მოქალაქეობა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთმა რამდენიმე ხნის წინ ცალმხრივად მიანიჭა მათ თავისი მოქალაქეობა“.¹⁵

¹² UNGA Res. 3314 (XXIX), 29th Session, (1974), ხელმისაწვდომია: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0739/16/IMG/NR073916.pdf?OpenElement>.

¹³ (2008), <<http://www.brights.ru/text/b26/bul26.htm>>, 2010, 19 მარტის მდგომარეობით.

¹⁴ მოხსენება, ტომი II, გვ. 128-129.

¹⁵ Antonio Cassese 'The Wolf that Ate Georgia', *Guardian*, 2008, 1 სექტემბერი, <<http://www.project-syndicate.org/commentary/cassese5/English>>, 2008, 9 სექტემბრის მდგომარეობით.

ლონდონის საყოველთაოდ ცნობილი ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის ლექტორი როი ალისონი წერს: „რუსეთი დაულაღადა იმეორებდა, რომ „პირველი მას დაესხნენ თავს“ და მიუთითებდა აგრესიის იმ განსაზღვრებაზე, რომელსაც შეიცავს გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 3314-ე რეზოლუცია, მაგრამ რუსეთის მცდელობა, დაადანაშაულოს საქართველო „აგრესიის ჩადენაში“, სამართლებრივად ვერ ამართლებს რუსეთის თავდასხმას ან ჯარების გამოყენების სხვა ფორმებს საქართველოს წინააღმდეგ, რადგანაც, უშუალოდ, რუსეთის ტერიტორია არ იყო თავდასხმის ობიექტი... ეტყობა, სწორედ ამ „ხარვეზის“ შესავსებად ვ. პუტინმა 2008 წლის 11 სექტემბერს სოჭში, ვალდაის კლუბის წევრებთან შეხვედრისას, ღიად განაცხადა: „რა გინდოდათ, რომ გაგვეკეთებინა... როდესაც აგრესორი შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე, უნდა გაგვერტყა სილა – აგრესორი უნდა დაისაჯოს (ხაზგასმა დამატებულია)“.¹⁶

აღსანიშნავია, რომ ქალბატონ ჰ. ტალიაინის მიერ მოძიებული ფაქტები არ იძლეოდა საქართველოს აგრესიაში დადანაშაულების საფუძველს, ამიტომაც მოხსენების შესავალში სიტყვა „აგრესია“ არც ერთი მხარის მიმართ არ არის გამოყენებული, თუმცა მეორე ტომში ფართოდ არის განხილული, თუ რამდენად თავსდება საქართველოს 2008 წლის 7 აგვისტოს ქმედებები აგრესიის ჩადენის განსაზღვრებაში.

მისიის მოხსენებაში კარგად ჩანს ის ორჭოფული პოზიცია, რომელიც გამოიკვეთა მხარეთა ქმედებების შესწავლისა და შეფასების დროს. უფრო კონკრეტულად კი: საქართველოს ბრალად ედება, თითქოს მან სამშვიდობოებზე მიიტანა იერიში, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. თუ დაუფჯერებთ მოხსენების მეორე ტომის მე-17 პარაგრაფს: „რუსეთი აცხადებს, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს, დილით, ცხინვალში განლაგებულ სამშვიდობოებზე განხორციელებული იერიშის შედეგად მოკლულ იქნა ორი ჯარისკაცი და ხუთი დაიჭრა.¹⁷ საქართველომ უარყო... [ეს ბრალდება] და ამტკიცებდა, რომ ცხინვალში შესვლისას საქართველოს ჯარები მოექცნენ სამშვიდობოების ბანაკიდან გახსნილი ცეცხლის ქვეშ, რის გამოც იძულებული გახდნენ, გაეხსნათ ცეცხლი“.¹⁸

საგულისხმოა მისიის კომენტარი: „მისიას არ გააჩნია დამოუკიდებელი წყაროებიდან მოძიებული ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია, დაადასტუროს ან უარყოს ორივე მხარის ბრალდებები. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ადგილზე შექმნილ სახიფათო სიტუაციას, რუსეთის სამშვიდობო პერსონალის რიგებში მომხდარი დანაკარგი უფრო სავარაუდოა“.¹⁹

მოხსენების მე-20 პარაგრაფში კი ვკითხულობთ: „საქართველოს მიერ ძალის გამოყენება რუსეთის სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ ცხინვალში... ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართალს“.²⁰

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა შეიძლება ითქვას?

როგორც რ. ალისონი წერს: „სამშვიდობოებს შორის დანაკარგი, და გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი, ხშირად მომხდარა, მაგრამ არც ერთ „დედა სახელმწიფოს“ არ მოუწყვია ამის გამო ინტერვენცია ათიათასობით ჯარისკაცის გამოყენებით იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც ეს მოხდა“.²¹ უფრო მეტიც, იმავე მეორე ტომში მისია აღნიშნავს:

¹⁶ Ronald Allison, (2009) *The Russian case for military intervention in Georgia: international law norms and political calculation*, European Security, 18:2, გვ. 176-177.

¹⁷ საგულისხმოა, რომ „მიუკერძოებელი“ ექსპერტი ოტო ლუსტერჰანდტი ასახელებს სხვა ციფრს – 10 რუსი მშვიდობისმყოფელი, რომლებიც იქნენ მოკლულნი. იხ.:

„<http://www.hrights.ru/text/b26/bul26.htm>“ (2008),

¹⁸ მოხსენება, ტომი I, გვ. 21, §17.

¹⁹ *Ibid.*

²⁰ *Ibid.*, გვ. 23, §20.

²¹ Roy Allison, (2009) *The Russian case for military intervention in Georgia: international law norms and political calculation*, European Security, 18:2, გვ. 178.

„შეუძლებელია, მისიის მიერ დადასტურებულად ჩაითვალოს ის ფაქტი, თითქოს საქართველო თავს დაესხა რუსეთის სამშვიდობოებს“.²² მომდევნო პარაგრაფში კი ვკითხულობთ: „უფრო მეტიც, სადავოდ რჩება საკითხი, რამდენად შეეფერება სიმართლეს მტკიცება, თითქოს პირველად საქართველო დაესხა თავს რუსეთის სამშვიდობოებს“.²³

ახლა კი მივუბრუნდეთ საკითხს, თუ როგორ აფასებს მოხსენება რუსეთის შემოჭრას საქართველოში:

„რუსეთი ჩართული იყო კონფლიქტში რამდენიმე გზით: პირველი, რუსეთის სამშვიდობოები, რომლებიც დისლოცირებულნი იყვნენ სამხრეთ ოსეთში, სოჭის შეთანხმების საფუძველზე, ჩაერთნენ ბრძოლაში ცხინვალისათვის; მეორე, რუსეთის რეგულარული ჯარები იბრძოდნენ სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და უფრო ღრმად საქართველოს ტერიტორიაზე; მესამე, ჩრდილო კავკასიის არარეგულარულმა ძალებმა მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში; და ბოლოს, რუსეთი მრავალი საშუალებით ეხმარებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალებს, განსაკუთრებით მათი წვრთნით, შეიარაღებით, აღჭურვილობით, დაფინანსებით და სხვა მხარდაჭერით... გაეროს წესდების მე-2(4) მუხლისა და, პარალელურად, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის არმიის სამხედრო ოპერაციებმა საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და სხვაგან, ნებისმიერ ადგილას საქართველოში) დაარღვიეს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ“.²⁴

მოხსენებაში უარყოფილია რუსეთის ყველა მცდელობა, სამართლებრივად გაემართლებინა ინტერვენცია, *inter alia*: „ძალის გამოყენება თავდაცვის მიზნით“;²⁵ „რუსეთის მოქმედებების აუცილებლობა და პროპორციულობა“;²⁶ „ძალის გამოყენება სამშვიდობოების ფუნქციების განსახორციელებლად“;²⁷ „ინტერვენცია სამხრეთ ოსეთის თხოვნით“;²⁸ „კოლექტიური თავდაცვა“;²⁹ „კუმანიტარული ინტერვენცია“ „რუსეთის მოქალაქეებისა და ოსების მიმართ გენოციდის აღკვეთის მიზნით“;³⁰ „ძალის გამოყენება საზღვარგარეთ საკუთარ მოქალაქეთა დასაცავად“.³¹

საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი ობიექტური ექსპერტისათვის ზემოთ ჩამოთვლილი „ქმედებანი“ მთლიანად თავსდება გაეროს წესდების მე-2(4) მუხლით აკრძალული პრინციპისა და გენერალური ასამბლეის 3314-ე რეზოლუციის ჩარჩოში, ე.ი., ეს „ქმედებები“ აშკარად აგრესიულ ხასიათს ატარებდა, თუმცა მისიამ თავი შეიკავა მსგავსი კვალიფიკაციისაგან.

რაც შეეხება საქართველოს, მისია არ უარყოფს ოსების მხრიდან ქართულ სოფლებსა და სამშვიდობოებზე თავდასხმებს, რაც მსხვერპლითაც კი მთავრდებოდა; არც იმას უარყოფს, რომ 7 აგვისტომდე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის ტერიტორიიდან როკის გვირაბის გავლით გადმოსული შეიარაღებული „მოხალისეებისა“ და დაჭირავებული პირების უწყვეტი ნაკადი მოედინებოდა. ამავე დროს, მისია ცდილობს, უარყოს რუსეთის რეგულარული ჯარების შემოსვლა იმავე როკის გვირაბით. თუმცა არსებული წყაროების, მათ შორის რუსული წყაროების, მიხედვით, უკვე დიდი ხანია, დადასტურდა, რომ „2008 წლის 7 აგვისტომდე კონფლიქტურ ზონაში დისლოცირებული იყო რუსეთის შეიარაღებული ძალები, ყოველგვარი

²² მოხსენება, ტომი II, გვ. 268.

²³ *Ibid.*, გვ. 270.

²⁴ *Ibid.*, გვ. 263-264.

²⁵ *Ibid.*, გვ. 264-269.

²⁶ *Ibid.*, გვ. 269-275.

²⁷ *Ibid.*, გვ. 275-276.

²⁸ *Ibid.*, გვ. 276-280.

²⁹ *Ibid.*, გვ. 280-283.

³⁰ *Ibid.*, გვ. 283-284.

³¹ *ibid.*, გვ. 285-289.

ნებართვის გარეშე... [და ატარებდა] რეგულარულ წვრთნებს სამხრეთ ოსეთში, მათ შორის აგვისტოს ომამდე უშუალოდ ერთი კვირით ადრე“.³²

მისიას საქართველოს მიერ გაეროს წესდებით აღიარებული ძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევად მიიჩნია ის, რომ სამხრეთ ოსეთის მხრიდან, თუნდაც ინტენსიური სროლის საპასუხოდ, საქართველომ სარაკეტო დანადგარებიდან ფართომასშტაბიანი ცეცხლი გახსნა, რა დროსაც გამოყენებულ იქნა კასეტური იარაღი. ნიშანდობლივია, საქართველომ იმთავითვე აღიარა ეს ფაქტი, მაგრამ ასაბუთებდა თავის მოქმედებას იმით, რომ ცხინვალსა და მიმდებარე რაიონებში რუსეთის რეგულარული და არარეგულარული (ე.წ. „ბოვეიკები“) ჯარების მასობრივი იერიში იწყებოდა. შედარებისთვის გავიხსენოთ, რომ მისიამ დაგმო რუსეთის მცდელობა, დაემალა მის მიერ კასეტური ბომბების გამოყენების ფაქტი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.³³

რაც შეეხება „საქართველოს მტკიცებას იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარები შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე როკის გვირაბის გავლით მანამდე, სანამ საჰაერო და სახმელეთო იერიში დაიწყებოდა საქართველოს მხრიდან 2008 წლის 7 აგვისტოს, ღამის 11.“³⁵ საათზე, მისიამ ვერ დაადასტურა აღნიშნული ფაქტი“. თუმცა აქვე აღნიშნა: „არ არის გამორიცხული, გამოიკვეთოს ახალი მტკიცებულებები, რომლებიც, შესაძლოა, დაადასტურებენ რუსეთის ჯარისკაცების ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე ხსენებული დროისთვის“.³⁴ (საზგასამა დამატებულია).

ამგვარად, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის რეგულარული ძალების შემოდინებისა და შტურმის დაწყების შესახებ ფაქტების უქონლობა საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა მისიის მიერ კვალიფიკაციის განხორციელებისგან თავის შეკავების გასამართლებლად.

რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში და ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, დღეს დიპლომატიური, პოლიტიკური და, რაც მთავარია, საერთაშორისო სამართლის სწორი ინტერპრეტაციისთვის ბრძოლაში გადაიზარდა. როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთისა და თვით რუსეთის ექსპერტთა უმრავლესობა უკომპრომისოდ იცავს საქართველოს სიმართლეს და აკრიტიკებს რუსეთის ფედერაციის აგრესიულ პოლიტიკას.

ზოგიერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოხელე და პოლიტიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას და ფართომასშტაბიანი შეტაკების თავიდან აცილების მიზნით დაუყოვნებელი ზომების მიღების აუცილებლობას ხედავს. როგორც ვაცლავ ჰაველმა, ვალდას ადამკუსმა და სხვა ცნობილმა პოლიტიკურმა თუ საზოგადო მოღვაწეებმა განაცხადეს: „გადამწყვეტი კითხვა ის არის, თუ რომელი ქვეყანა შეიტრა მეორეში, ვიდრე ის, თუ რომელმა ჯარისკაცმა გაისროლა პირველი ტყვია“.³⁵

ამასობაში საქართველოში ირაზმებიან ცრუ ექსპერტები, რომლებსაც აქცენტი გადააქვთ მხოლოდ მოხსენების სადავო დებულებებზე. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, მთავარია, რომ მოხსენება შეიცავს რუსეთის მიერ ჩადენილი ან მის მიერ მხარდაჭერილი აგრესიული აქტების

³² Ronald Allison, (2009) *The Russian case for military intervention in Georgia: international law norms and political calculation*, European Security, 18:2, გვ. 17, გვ. 176; იხ. აგრეთვე: მოხსენება, ტომი II, გვ. 221; იხ აგრეთვე ილარიონოვის მიერ მოწოდებული დეტალური ინფორმაცია: , (2009, 24-26 ივნისი).

³³ იხ.: მოხსენება, ტომი I, გვ. 28, §29.

³⁴ მოხსენება, ტომი II, გვ. 254.

³⁵ Vaclav Havel, Valdas Adamkus, Mart Laar, Vytautas Landsbergis, Otto de Habsbourg, Daniel Cohn Bendit, Timothy Garton Ash, André Glucksmann, Mark Leonard, Bernard-Henri Lévy, Adam Michnik, Josep Ramoneda, 'Europe must stand up for Georgia', *Guardian*, (2009, 22 სექტემბერი), <<http://www.guardian.co.uk/commentisfree/2009/sep/22/europe-georgia-russia>>, 2010, 19 მარტის მდგომარეობით.

გრძელ ჩამონათვალს, რომლებიც მნიშვნელოვნად ხელყოფენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს:

- 1) ასეთ გარემოებებში საქართველოს შეტევა რუსეთის სამშვიდობო ბაზაზე შეიძლება იყოს უცხოეთის ტერიტორიაზე რუსეთის ჩვეულებრივ ბაზებზე შეტევის ტოლფასი და ამიტომ სპეციალურად მიმართული რუსეთის, როგორც სახელმწიფოს, წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საფუძველი თავდაცვისთვის. უფრო მეტიც, როგორც ზევით არის აღნიშნული, საქართველოს მიერ რუსეთის სამშვიდობო ბაზაზე შეტევა გარკვევით არ დასტურდება მისიის მიერ;³⁶
- 2) არ არსებობს არანაირი ეჭვი, რომ რუს სამშვიდობოებს, თუ მათზე პირდაპირი შეტევა განხორციელდა, ჰქონდათ პასუხის გაცემის უფლება. დაუყოვნებელი სამხედრო პასუხი და, ამ პირობებში პროპორციული, აუცილებელი იყო. და მაინც, დღემდე იბადება ეჭვები, პირველ რიგში, განხორციელდა თუ არა შეტევა რუს სამშვიდობოებზე;³⁷
- 3) უფრო რთულია იმ საკითხის გადაწყვეტა, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მთლიანი სამხედრო კამპანია იყო თუ არა აუცილებელი და პროპორციული;³⁸
- 4) ამრიგად, რუსეთის ინტერვენცია საქართველოში ვერ იქნება გამართლებული რუსეთის მოქალაქეების დაცვის არგუმენტით;³⁹
- 5) ამ მიზეზების გათვალისწინებით, საქართველოს პოლიციისა და სამხედრო შენაერთების ყოფნა კოდორის ხეობაში არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც შეიარაღებული თავდასხმა აფხაზეთზე;⁴⁰
- 6) აფხაზეთის მიერ ძალის გამოყენება გაუმართლებელია საერთაშორისო სამართლის მიერ და, შესაბამისად, არის უკანონო. იგივე ვრცელდება რუსეთზე, რომელიც მხარს უჭერდა აფხაზეთს ძალის გამოყენებაში;⁴¹
- 7) ზიანი, რომელიც მიადგა საავადმყოფოებს, გამოწვეული იყო „გრადის“ ტიპის რაკეტებისა და არტილერიის არაზუსტი დაბომბვის შედეგად, მაშინ, როდესაც გორის საავადმყოფო, რომელიც სარგებლობს ჰუმანიტარული დაცვით, იყო წინასწარგანზრახული ცეცხლის ობიექტი. ეს შესაძლოა გაუტოლდეს ომის დანაშაულს;⁴²
- 8) დახოცილთა ზუსტი რაოდენობა არ არის დადგენილი და ზოგიერთი ფაქტი გაურკვეველი რჩება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისიას სჯერა, რომ მოსალოდნელია გამოჩნდეს მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდება ოსური ძალების მიერ მკვლელობების ჩადენა;⁴³
- 9) მისიას სჯერა, რომ არსებობს დადასტურებული შემთხვევები სასტიკი მოპყრობისა და წამებისა, რომლებიც ჩადენილია ოსური ძალების მიერ;⁴⁴
- 10) მისიას სჯერა, რომ არსებობს დაკავებული კომბატანტებისადმი სასტიკი მოპყრობისა და წამების დადასტურებული შემთხვევები. როგორც ჩანს, აღნიშნული ქმედებები ძირითადად ჩადენილია სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ და ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა ადგილზე მყოფი რუსი ჯარისკაცების მიერაც;⁴⁵
- 11) ჩანს, რომ მრავალი შემთხვევა იყო მოქალაქეთა დაკავების, თვითნებური დაპატიმრების, მოტაცებისა და მძევლად წაყვანისა, რომელთაც, ძირითადად, სამხრეთ ოსეთის ძალები და სხვა შეიარაღებული ოსური დაჯგუფებები ახორციელებდნენ;⁴⁶

³⁶ მოხსენება, ტომი II, გვ. 268.

³⁷ *Ibid.*, გვ. 270.

³⁸ *Ibid.*, გვ. 271.

³⁹ *Ibid.*, გვ. 289.

⁴⁰ *Ibid.*, გვ. 293.

⁴¹ *Ibid.*, გვ. 294.

⁴² *Ibid.*, გვ. 330.

⁴³ *Ibid.*, გვ. 355.

⁴⁴ *Ibid.*, გვ. 359.

⁴⁵ *Ibid.*, გვ. 361.

⁴⁶ *Ibid.*, გვ. 362.

-) კონფლიქტის განმავლობაში და, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთსა და ბუფერულ ზონებში ხდებოდა, უპირატესად, ეთნიკური ქართველების სახლებისა და საკუთრების სისტემატური და ფართომასშტაბიანი ძარცვა. ოსური ძალები – არაიდენტიფიცირებადი შეიარაღებული ოსური ფორმირებები და ხშირად ოსი სამოქალაქო პირებიც კი – აწარმოებდნენ აღნიშნულ კამპანიას, რუსული ძალებისთვის შეტყობინებით. რუსმა სამხედროებმა არ მოახდინეს აღნიშნული ქმედებების პრევენცია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ შეაჩერეს ძარცვისა და საკუთრების მითვისების შემთხვევები სახლების გადაწვის შემდეგ, მაშინაც კი, როდესაც საკუთარი თვალთვლით ხედავდნენ აღნიშნულ ქმედებებს. აფხაზურ ძალებს არ განუხორციელებიათ ამგვარი ძარცვა, თუმცაღა ძარცვისა და საკუთრების განადგურების იშვიათი შემთხვევები მაინც დაფიქსირდა;⁴⁷
-) რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებები უამრავჯერ „ჩაიჭრნენ“, მიეღოთ ზომები კანონებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად, ასევე დაეცვათ სამოქალაქო მოსახლეობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად;⁴⁸
-) 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების კონტექსტში განხორციელდა დაახლოებით 135000 პირის იძულებით გადაადგილება, რასაც უამრავი გამოძწვევი მიზეზი ჰქონდა. გარდა იმისა, რომ შეიარაღებული ქმედებების საფრთხემ და, ზოგადად, დაუცველმა გარემომ მნიშვნელოვნად განაპირობა იძულებით გადაადგილების შემთხვევების დიდი ნაწილი, ასევე აღინიშნა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევების დადასტურებული შემთხვევები, რომლებიც ჩადენილ იქნა სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების გადაადგილების იძულების მოტივით. ამ ფაქტმა კი მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ დაირღვა თვითნებური და იძულებითი გადაადგილების აკრძალვა;⁴⁹
-) მრავალი ელემენტი ამტკიცებს დასკვნას, რომ ეთნიკური წმენდა ეთნიკური ქართველების მიმართ სამხრეთ ოსეთში აღინიშნა როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის განმავლობაში, ასევე მის შემდეგაც;⁵⁰
-) იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკუთრების დაცვის საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც კვლავ რჩება გადაუჭრელი დავის საგნად, ჯერ კიდევ 1990-იან წლებში არსებული კონფლიქტებიდან მოყოლებული. სამხრეთ ოსეთში ხელისუფლებაც და რუსული ძალებიც სერიოზულად „ჩაიჭრნენ“, დაეცვათ იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკუთრების უფლება 2008 წლის კონფლიქტის განმავლობაში და, განსაკუთრებით, მას შემდეგ. უფრო მეტიც, სამხრეთ ოსეთის ძალები მონაწილეობდნენ სახლების ძარცვაში, მათ გადაწვასა და განადგურებაში, კონფლიქტის განმავლობაში და მას შემდეგაც. ამ მხრივ, ყოვლისმომცველი პროექტები უნდა შეიქმნას და განხორციელდეს, მაგრამ როგორც იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების უფლების ერთგვარი დამატება, და არა როგორც ამ უფლების ჩანაცვლება;⁵¹
-) სერიოზული დამოკიდებულება გამოიხატა ეთნიკური ქართველების სიტუაციისადმი გალისა (აფხაზეთი) და ახალგორის რაიონებში მათი უფლებების ეფექტიან დაცვასთან დაკავშირებით. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის *de facto* ხელისუფლებებმა უნდა უზრუნველყონ მათი დაცვა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ამ პირთა უფლებების დისკრიმინაცია და შეღახვა.⁵²
-) უკომენტაროდ.

⁴⁷ *Ibid.*, გვ. 365.

⁴⁸ *Ibid.*, გვ. 375.

⁴⁹ *Ibid.*, გვ. 389.

⁵⁰ *Ibid.*, გვ. 394.

⁵¹ *Ibid.*, გვ. 405.

⁵² *Ibid.*, გვ. 416.

დასკვნის სახით გვსურს მოვიხმოთ ტალიავინის დასკვნა და რონალდ რ. ასმუსის საყოველთაოდ ცნობილი წიგნი რუსული აგრესიისა და სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ქმედებათა შესაფასებლად.

რონალდ ასმუსი აკეთებს ასეთ შეფასებას: „ეს ომი მიმართული იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, ზოგად კონტექსტში, უფრო დასავლეთის წინააღმდეგ. ფიზიკურად საქართველო იყო სამიზნე, მაგრამ ჩვენც მოვიაზრებით პოლიტიკურ მოტივაციათა გზაჯვარედინზე. თბილისი იქცა განტეგების ვაცად რუსეთის საყვედურებისა და განრისხების გამოსავლენად, რომელიც წლების განმავლობაში გროვდებოდა შეერთებული შტატების, ნატოს და იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც, მოსკოვის აზრით, ეხმარებოდნენ საქართველოს. ეს დამოკიდებულება გამოვლინდა ყველაფერში, თუნდაც: როგორ გააშუქა რუსულმა მედიამ ომი, როგორ შეაფასეს რუსმა ოფიცრებმა საკუთარი მისია ხანმოკლე ოკუპაციის პერიოდში, ანდა გამოვლინდა თუნდაც „გრაფიტების“ სახით, რომლებიც რუსეთის ჯარებმა დატოვეს. ეს გაღიზიანება, უპირველესად, მიმართული იყო შეერთებული შტატებისა და ნატოს მიმართ, მაგრამ ამით არ დასრულდებულა. რუსმა ჯარისკაცებმა ისეთივე სიამოვნებით გაანადგურეს ევროკავშირის დროშები, როგორც აშშ-ისა და ნატოს ნებისმიერი სიმბოლო. რუსეთის პროპაგანდის მექანიზმმა არა მხოლოდ ბრალი დასდო საქართველოს ომის დაწყებაში, არამედ ასევე პირდაპირ დაადანაშაულა შეერთებული შტატები ჩარევაში, რომ ამ უკანასკნელმა შექმნა და დააჩქარა ეს კონფლიქტი“.⁵³

ასმუსი აგრძელებს მსჯელობას: „დასავლეთში ბევრმა სცადა, უკან დაეხია, თითქოს რუსეთ-საქართველოს ომი მხოლოდ ადგილობრივი კონფლიქტი იყო, რომლის მონაწილეებიც ისინი არ იყვნენ. მაგრამ მაინც ნაკლებად საეჭვოა, რომ რუსეთისთვის ეს ომი არ იყო ახალი პოლიტიკის დასაწყისი, რომელიც გულისხმობდა დასავლეთის ზეგავლენის დასუსტებას და რუსეთის საზღვრებთან დასავლური ინსტიტუტების მიახლოების ნებისმიერი მცდელობის დარეგულირებას. მოსკოვი აცხადებდა, რომ უკან დახევის პერიოდი დასრულდა. ამგვარად, ის ატყობინებდა მთლიანად დასავლეთს, რომ საქართველო მისი გავლენის ფარგლებში იყო და ჩვენ თავი უნდა შეგვეკავებინა ჩარევისგან. ეს იყო გზავნილი, რომ რუსეთი ნამდვილად მზად იყო ბრძოლისთვის, რათა არ დაეშვა თავის საზღვრებთან დასავლეთის შემდგომი მიახლოება, განსაკუთრებით კი ნატოს სახით. ამ კუთხით, ეს იყო პირველი ცივი ომის შემდგომი დასავლეთ-აღმოსავლეთის შეიარაღებული კონფლიქტი“.⁵⁴

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა, განსაკუთრებით ევროპის საბჭო და ევროკავშირი, მუდმივად მოუწოდებს რუსეთს, უკან წაიღოს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარება, სამწუხაროდ, ეს ჯერ არ მომხდარა. ამასთანავე, რუსეთის უკანონობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საზგასმულია მოხსენებაშიც. ამასობაში, მთლიანი ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში, რუსეთი აგრძელებს სამხედრო ყოფნას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რასაც ამართლებს „დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან დადებული“ ე.წ. „ხელშეკრულებებით“ და, ამასთანავე, არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას ან მის დამკვირვებელს არ აძლევს ამ ტერიტორიებზე შესვლის უფლებას. მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს ადამიანის უფლებების დარღვევის უხეშ ფაქტებს ამ ტერიტორიებზე, მაგრამ არ აქვს საშუალება, მონიტორინგი გაუწიოს არსებულ სიტუაციას ადგილზე.

კიდევ რამდენ ხანს მოითმენს საერთაშორისო საზოგადოება ამ ცინიკურ დამოკიდებულებას თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის ფუნდამენტური ცნებების მიმართ?! ამ კუთხით, ჩვენ ვეთანხმებით მოხსენების დასკვნას, რომ: „საჭიროა, გადაიდგას უფრო გრძელვადიანი და უფრო მიზანმიმართული ნაბიჯები ამ კრიზისული სიტუაციის დასარეგულირებლად, და ამგვარ სიტუაციებში უფრო საფუძვლიანად უნდა ჩაერთოს

⁵³ R.D. Asmus, *A Little War that Shook the World*, (2010), (Palgrave Macmillan ed.), გვ. 217-218.

⁵⁴ *Ibid.*, გვ. 218.

საერთაშორისო საზოგადოება და, განსაკუთრებით, გაეროს უშიშროების საბჭო, ასევე მნიშვნელოვანი რეგიონალური და არარეგიონალური ფიგურები.

აგრეთვე აღმოჩნდა, რომ არსებული სიტუაციის სტაბილიზაციაზე მიმართული მთელი რიგი შეთანხმებებისა და ინსტიტუტებისა, როგორებიცაა: ერთიანი სამშვიდობო ძალები, ერთიანი საკონტროლო კომისია და ეუთოს ყოფნა სამხრეთ ოსეთში, ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები და გაეროს სადამკვირვებლო მისია აფხაზეთის კონფლიქტში, რომლებიც შეიქმნა საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ, 1990-იანი წლების დასაწყისში (დასახელებული შეთანხმებები და ინსტიტუტები), მოექცა პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში მიმდინარე ახალი და მეტად საშიში ცვლილებების ფორმატში“.⁵⁵

⁵⁵ მოხსენება, ტომი I, გვ. 33-34, §2-3.